| გუნდების შემადგენლობა | СОСТАВЫ КОМАНД |
| --- | --- |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | **«ДНЕПР» (Днепропетровск)** |
| ლ. კოლტუნი | **Л. Колтун** |
| ს. სკლიარი | **С. Скляр** |
| ვ. ჟუკოვი | **В. Жуков** |
| ვ. დანილევსკი | **В. Данилевский** |
| ვ. შალნევი | **В. Шальнев** |
| ვ. მასლოვი | **В. Маслов** |
| რ. შნეიდერმანი | **Р. Шнейдерман** |
| ა. ლისენკო | **А. Лысенко** |
| ვ. კუცევი | **В. Куцев** |
| ნ. სამოილენკო | **Н. Самойленко** |
| ს. მალკო | **С. Малько** |
| კაპიტანი **რ. შნეიდერმანი** | Капитан — **Р. Шнейдерман** |
| უფ. მწვრთნელი **ვ. კანევსკი** | Ст. тренер — **В. Каневский** |
| „დინამო" (თბილისი) | **«ДИНАМО (Тбилиси)** |
| ო. გაბელია | **О. Габелия** |
| ნ. ხიზანიშვილი | **Н. Хизанишвили** |
| ვ. ქორიძე | **В. Коридзе** |
| შ. ხინჩაგაშვილი | **Ш. Хинчагашвили** |
| თ. კოსტავა | **Т. Костава** |
| გ. მაჩაიძე | **Г. Мачаидзе** |
| მ. მაჩაიძე | **М. Мачаидзе** |
| ვ. კოპალეიშვილი | **В. Копалеишвили** |
| რ. ჩელებაძე | **Р. Челебадзе** |
| დ. ყიფიანი | **Д. Кипиани** |
| რ. შენგელია | **Р. Шенгелия** |
| კაპიტანი — **მ. მაჩაიძე** | Капитан — **М. Мачаидзе** |
| უფ. მწვრთნელი — **ნ. ახალკაცი** | Ст. тренер — **Н. Ахалкаци** |

გუნდებში მოსალოდნელი ცვლილებების, მოთამაშეთა ნომრების მსაჯთა ბრიგადის ვინაობის შესახებ ცნობები გადმოიცემა რადიოთი, აღიბეჭდება ელექტროტაბლოზე.

Возможные изменения в составах, номера, под которыми игроки выйдут на поле, а также судейская бригада будут объявлены по радио стадиона и на световом табло.

**ფასი 8 კაპ.** Цена 8 коп.

**ПРЕСС-ЦЕНТР СТАДИОНА**

საქ. კპ ცკ-ის გამომც. სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტ. 3000.

ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს" სტადიონი
ТБИЛИССКИЙ СТАДИОН «ДИНАМО»
ИМЕНИ В. И. ЛЕНИНА

## სსრ კავშირის მე-40 ჩემპიონატი
## 40-й ЧЕМПИОНАТ СССР

№ 10 (17)

პარასკევი, 1 ივლისი
ПЯТНИЦА, 1 ИЮЛЯ
1977



# ფეხბურთი
# ФУТБОЛ

**«დინამო» — «დნეპრი»**
თბილისი — დნეპროპეტროვსკი

**«ДИНАМО» — «ДНЕПР»**
ТБИЛИСИ — ДНЕПРОПЕТРОВСК

დასაწყისი 19.30 საათზე
НАЧАЛО В 19.30 ЧАСОВ

www.fc-dnipro.com.ua

# მეთორმეტე ტური

გუშინ მოსკოვსა და კუიბიშევში გამართული მატჩებით დაიწყო ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი, XII ტური. დანარჩენი შეხვედრები დღეს გაიმართება. საინტერესოა, რომ ყოველ მატჩში გათამაშების ლიდერთა ექვსეულიდან ერთ-ერთი მონაწილეობს. ოთხი გუნდი სტუმრად ითამაშებს: „ტორპედო“ — ერევანში, „ლოკომოტივი“ — ალმა-ათაში, კიევის „დინამო“ — ბაქოში, „შახტიორი“ — ლენინგრადში. მოსკოვის დინამოელები „ზარიას“ უმასპინძლებენ, დაპოლოს, მასპინძლები, თბილისის დინამოელები საკუთარ სტადიონზე „დნეპრს“ შეხვდებიან.

დნეპროპეტროვსკის გუნდი „სტალი“ ომამდელ პერიოდშიც იყო ცნობილი. ახლანდელი სახელწოდება მან 1962 წელს მიიღო. 10 წლის შემდეგ გუნდმა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება დაიმსახურა. ამ ხნის განმავლობაში „დნეპრმა“ უძლიერესთა ჯგუფში 161 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 56-ში გაიმარჯვა, 58-ში დამარცხდა და 47 ფრედ დაამთავრა.

თბილისის დინამოელები „დნეპრს“ ათჯერ შეხვდნენ. შედეგები ასეთია (მარცხნივ — თბილისში ჩატარებული მატჩები, მარჯვნივ — დნეპროპეტროვსკში, ფრჩხილებში მოთავსებულია იმ დინამოელთა გვარები ,რომლებმაც გოლები გაიტანეს):

1972 3:0 (გ. ნოდია, ყიფიანი, გავაშელი), 1:2 (ძოძუაშვილი)
1973 2:0 (ებრალიძე, წერეთელი), 0:0
1974 0:0, 0:0
1975 2:0 (ყიფიანი, მ. მაჩაიძე), 0:0
1976 4:1 (ყიფიანი — 2, მ. მაჩაიძე, გუცაევი); 1:0 (წერეთელი).

ამგვარად, თბილისელებმა ათი შეხვედრიდან მოიგეს ხუთი, ფრედ დაამთავრეს ოთხი (ყველა 0:0) და მხოლოდ ერთი წააგეს, გაიტანეს 13 ბურთი, გაუშვეს — 3. ამ მატჩებში სულ 30 დინამოელი მონაწილეობდა. მინდორზე ყველაზე ბევრჯერ (ცხრაჯერ) გამოვიდნენ ვ. ჭელიძე, მ. მაჩაიძე და ვ. გუცაევი; რვაჯერ — რ. ძოძუაშვილი და ზ. ებრალიძე; შვიდჯერ — დ. გოგია, ექვსჯერ — დ. ყიფიანი; ხუთჯერ — გ. გავაშელი, კ. ასათიანი, შ. ხინჩაგაშვილი, ზ. წერეთელი, გ. მაჩაიძე; ოთხჯერ — მ. ხურცილავა, გ. ნოდია, ლ. ნოდია, ვ. ქორიძე; სამჯერ — ფ. რეხვიაშვილი, ფ. კანთელაძე, ნ. ხიზანიშვილი; ორჯერ — გ. პეტრიაშვილი, მ. გაგოშიძე, თ. ესებუა, ვ. კოპალეიშვილი, ა. ჩივაძე; თითოჯერ — ბ. მჭედლიშვილი, უ. ქანთარია, გ. იმნაძე, რ. ჩელებაძე, ვ. დარასელია.

1977 წლის ჩემპიონატში „დნეპრმა“ ჩაატარა 11 მატჩი; 5 შინ („კარპატთან“ — 1:0, მოსკოვის „დინამოსთან“ — 0:1, „ზენიტთან“ — 0:0, „ლოკომოტივთან“ — 0:0 და ცსკა-სთან 2:3) და 6 სტუმრად. მეტოქის მინდვრებზე 3 მოიგო („ზარიასთან“ — 1:0, „კრილია სოვეტოვთან“ — 3:1, „ჩერნომორეცთან“ — 2:1) და 3 წააგო („შახტიორთან“ — 0:1, კიევის „დინამოსთან“ — 0:4, „ტორპედოსთან“ — 0:2), გაიტანა 9 ბურთი, გაუშვა 13. 2-2 გოლი გაიტანეს ს. მალკომ და პ. იაკოვლევმა, თითო — ვ. კუცევმა, ი. სოლოვიოვმა, ნ. სამოილენკომ, ა. იაკოვენკომ და მ. ლისენკომ.

## ТЕСНО В ГРУППЕ ЛИДЕРОВ

С каждым туром борьба в чемпионате страны все более обостряется. Не был исключением и последний — одиннадцатый тур. Первое поражение в нем потерпел лидер чемпионата московское «Динамо», первую победу одержали футболисты ЦСКА, выступавшие в Днепропетровске.

Если в предыдущих турах было зафиксировано много ничьих (в том числе и нулевых), то на сей раз все восемь встреч закончились победой одной из команд. Забит 21 гол, в двух матчах победили гости, в шести остальных хозяева.

Тесно стало в группе лидеров. Три команды — тбилисское «Динамо», московские «Торпедо» и «Локомотив» возглавляют турнир, набрав по 15 очков из 22 возможных. У каждой из этих команд по одному поражению, причем торпедовцы, уступив в первом же туре «Шахтеру» в Донецке, с тех пор (со 2 апреля) не проиграли ни одного матча. Успешно выступает в нынешнем сезоне «Локомотив», потерявший в четырех последних турах всего одно очко. Что же касается тбилисского «Динамо», то 7 очков из 12, набранные в играх на чужих полях — лучше всего говорят о высокой степени готовности команды. В десятом туре команда показала отличный футбол в матче с московским «Динамо», а затем добилась успеха во Львове. Не случайно и команда, и ведущий ее игрок Давид Кипиани возглавляют списки результативных.

Вплотную за тройкой лидеров, отставая от них всего на одно очко, идут динамовцы Киева и Москвы и «Шахтер», причем киевляне сыграли на матч меньше.

В публикуемой ниже таблице показано движение команд по турам, а в последнем столбце приведено соотношение забитых и пропущенных мячей (по положению на 30 июня).

| | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | М |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| «Динамо» Тб. | | 2 | 3 | 4 | 5 | 7 | 9 | 11 | 11 | 12 | 13 | 15 | 16—10 |
| «Торпедо» | | 0 | 2 | 4 | 6 | 7 | 8 | 10 | 11 | 12 | 13 | 15 | 13—7 |
| «Локомотив» | | 2 | 3 | 4 | 4 | 6 | 7 | 8 | 10 | 11 | 13 | 15 | 9—4 |
| «Динамо» К. | | 1 | 2 | 4 | 5 | 6 | 7 | 9 | 11 | 12 | 14 | | 16—4 |
| «Динамо» М. | | 1 | 3 | 4 | 6 | 8 | 9 | 11 | 12 | 13 | 14 | 14 | 13—5 |
| «Шахтер» | | 2 | 4 | 5 | 6 | 6 | 8 | 8 | 10 | 12 | 12 | 14 | 11—6 |
| «Арарат» | | 1 | 1 | 3 | 5 | 5 | 6 | 8 | 10 | 11 | 12 | 12 | 10—8 |
| «Кайрат» | | 2 | 4 | 5 | 6 | 7 | 9 | 10 | 11 | 12 | 12 | 12 | 8—9 |
| «Днепр» | 2 | 2 | 4 | 4 | 4 | 4 | 6 | 6 | 7 | 8 | 10 | 10 | 9—13 |
| «Нефтчи» | | 1 | 2 | 4 | 4 | 6 | 7 | 8 | 8 | 9 | 10 | 10 | 13—17 |
| ЦСКА | | 0 | 1 | 2 | 2 | 3 | 4 | 5 | 5 | 6 | 7 | 9 | 8—16 |
| «Заря» | | 0 | 0 | 2 | 4 | 4 | 5 | 5 | 6 | 6 | 8 | | 12—16 |
| «Зенит» | | 1 | 2 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 8 | 8 | 6—10 |
| «Карпаты» | | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 4 | 4 | 5 | 6 | 6 | 6—12 |
| «Кр. Советов» | | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 4 | 4 | 7—19 |

www.fc-dnipro.com.ua